საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ქ.ქუთაისი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უახლოეს მორიგ პლენარულ სხდომაზე წარდგენის მიზნით გეგზავნებათ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და უმაღლესი საბჭოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
2. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნა;
3. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2017 წლის 1 მაისის №16 სხდომის ოქმის ამონაწერი.

დანართი: -6- ფურცელი

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია

09-01-04/28
2 05 2017
7 ფურცელი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და უმაღლესი საბჭოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და უმაღლესი საბჭოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №4 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 09.12.2016) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის „ა-ვ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისია - 7 წევრი;
ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია - 7 წევრი
გ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია - 7 წევრი;
დ) საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია - 7 წევრი;
ე) საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია - 7 წევრი;
ვ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია - 7 წევრი.".

2. მე-2 მუხლის ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	კომისიის დასახელება	ფრაქცია „ქართული ოცნება"	ფრაქცია „ქართული ოცნება - მაჟორიტარები"	ფრაქცია „ქართული ოცნება - აჭარა"	ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში
1	აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა	2	2	1	1	1

2	ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა	2	2	1	1	1
3	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა	2	2	1	1	1
4	საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა	2	2	1	1	1
5	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა	2	2	1	1	1
6	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა	2	2	1	1	1

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შექმნის, კომისიებში წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

დადგენილების პროექტის მომზადების სამართლებრივი საფუძველია 37-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის შესაბამისად, ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია განსაზღვრავს პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლეს საბჭოს.

როგორც ცნობილია, 2017 წლის 20 აპრილს უმაღლესი საბჭოს წევრმა პეტრე ზამბახიძემ გააკეთა, როგორც საჯარო, ასევე წერილობითი განცხადება ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გასვლის თობაზე.

ბ) დადგენილების პროექტის არსი

პროექტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობა განისაზღვრება – 7 წევრით, ხოლო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ უმაღლესი საბჭოს თითოეულ კომისიაში გამოეყოფა 1 კვოტა.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №4 დადგენილების იმ ნორმების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი დადგენილების პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-20 მუხლის პირველი პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიქმნას კომისიები და განისაზღვროს უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობა:

ა) აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისია - 8 წევრი;

ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია - 8 წევრი

გ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია - 8 წევრი;

დ) საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია - 8 წევრი;

ე) საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია - 8 წევრი;

ვ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია - 8 წევრი.

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს უმაღლესი საბჭოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები:

№	კომისიის დასახელება	ფრაქცია „ქართული ოცნება”	ფრაქცია „ქართული ოცნება - მაჟორიტარები”	ფრაქცია „ქართული ოცნება - აჭარა”	ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში
1	აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა	2	2	1	2	1
2	ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა	2	2	1	2	1
3	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა	2	2	1	2	1
4	საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა	2	2	1	2	1
5	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა	2	2	1	2	1
6	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა	2	2	1	2	1

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომისია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიებში წევრთა რაოდენობისა და ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2017 წლის 1 მაისის ხდომაზე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე (რომლის შესაბამისად, ფრაქცია დატოვა (ფრაქციიდან გარიცხული იქნა) უმაღლესი საბჭოს წევრმა პეტრე ზამბახიძემ), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, განიხილა უმაღლესი საბჭოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიებში წევრთა რაოდენობისა და ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის საკითხი.

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისიამ განსაზღვრა კომისიებში წევრთა რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები და ამავე მუხლის გათვალისწინებით უმაღლესი საბჭოსათვის წარსადგენად მოამზადა უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და უმაღლესი საბჭოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელზეც მომხსენებლად დაინიშნა კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2017 წლის 1 მაისის №16 სხდომის ოქმიდან

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის თაობაზე.

გადაწყვიტეს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს კომისიის დასკვნა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და უმაღლესი საბჭოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. დადგენილების პროექტზე უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მომხსენებლად დაინიშნოს კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია